

## ზოგადი წინადადება დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და

### მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე

*შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის მე-14<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად*

ბატონო ლ.,

#### I. ფაქტობრივი გარემოებები

2016 წლის 10 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტისათვის საინფორმაციო სააგენტოს „netgazeti.ge“-ის მეშვეობით ცნობილი გახდა ქალაქ თბილისში, „ვაკის საცურაო აუზზე“ გამოკრული წარწერის შესახებ, რომლის მიხედვით, მენსტრუალური ციკლის დროს ქალებს აუზით სარგებლობა ეკრძალებათ. აღნიშნული წარწერის ფოტო სოციალური ქსელის მეშვეობით გაავრცელა საცურაო აუზის ერთ-ერთმა მომხმარებელმა. კერძოდ, „ვაკის საცურაო აუზზე“ გამოკრულია შემდეგი წარწერა: „ძვირფასო ქალბატონებო, კრიტიკულ დღეებში აუზში ჩასვლა აკრძალულია“.

სახალხო დამცველის აპარატმა ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით მიმართა „ვაკის საცურაო აუზის“ ადმინისტრაციას. 2016 წლის 23 აგვისტოს მიღებული წერილით გვეცნობა, რომ ვაკის საცურაო აუზი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჰიგიენური ნორმების დაცვას და ამ ტიპის საქმიანობაში ჰიგიენა ერთ-ერთი პრიორიტეტული მოთხოვნაა. შესაბამისად, კომპანია აწესებს გარკვეულ შეზღუდვებს და პარალელურად ხარჯავს სოლიდურ თანხებს წყლის ფილტრაციასა და სხვა ჰიგიენური ნორმების შესრულებაზე.

აუზის ადმინისტრაციის განმარტებით, ქალებისთვის დაწესებული აკრძალვა პრევენციულ ხასიათს ატარებს და განპირობებულია ჰიგიენური სტანდარტების უზრუნველყოფის აუცილებლობით და საქმიანობის პროცესში გამოვლენილი პრაქტიკით და შედეგებით. კლუბის საქმიანობის პრაქტიკამ აჩვენა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ქალების დამცავი საშუალებებს იყენებდნენ ცურვის დროს, აღნიშნული ვერ გამორიცხავდა წყლის დაბინძურების რისკს და იყო შემთხვევა, როდესაც დამცავი საშუალების წყალში მოხვედრამ წყლის დაბინძურება გამოიწვია, რის შედეგად კომპანია იძულებული გახდა სრულად

გამოეცვალა საცურაო აუზის წყალი და სოლიდური ხარჯი გაეღო. მოპასუხე მიიჩნევს, რომ არსებული წესები არის ობიექტურად გამართლებული და უზრუნველყოფს საჯარო და კერძო ინტერესების ბალანსს.

2016 წლის 22 სექტემბერს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ „ვაკის საცურაო აუზზე“ და ადმინისტრაციის თანამშრომლებს წარწერის ფორმულირების შეცვლის აუცილებლობის შესახებ ესაუბრნენ, თუმცა, სახალხო დამცველის აპარატთან თანამშრომლობაზე მოპასუხემ უარი განაცხადა

## II. სახალხო დამცველის შეფასება

სახალხო დამცველი იზიარებს მოსაზრებას, რომ აუცილებელია ჰიგიენური ნორმები მკაცრად იქნეს დაცული და გაკონტროლებული. თუმცა, განსახილველ შემთხვევაში, ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით ვაკის საცურაო აუზის მიერ გამოყენებული საშუალება, კერძოდ, ქალებისათვის აუზით სარგებლობის აკრძალვის შესახებ გამოკრული წარწერა რეალურად არ არის ეფექტური და ვერ იქნება მიზნის მიღწევის გამოსადეგი საშუალება. ადმინისტრაცია ვერ გააკონტროლებს რეალურად ისარგებლებენ თუ არა ქალები აუზის მომსახურებით მენსტრუალური ციკლის განმავლობაში, ამდენად, აკრძალვით აუზის დაბინძურების საშიშროება თავიდან აცილებული ვერ იქნება.

ამასთან, ძირითად პრობლემას წარმოადგენს თავად წარწერის ფორმულირება, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სქესზე. მკვლევარები და აქტივისტები, რომლებიც მენსტრუალურ პერიოდთან დაკავშირებულ პრობლემებზე მუშაობენ, არ ახდენენ მენსტრუაციული ციკლის გენდერთან გაიგივებას, არამედ განაზოგადებენ მენსტრუალური ციკლის მქონე პირთა წრეს და მოიხსენიებენ ტერმინით როგორცაა „ადამიანები, რომლებსაც მენსტრუალური ციკლი აქვთ“. მსგავსი ლინგვისტური არჩევანი მენსტრუალურ ციკლს განათავსებს სოციალურად განსაზღვრული გენდერის საზღვრებს მიღმა და სოლიდარობას უცხადებს იმ ქალებს, რომელთაც არ აქვს მენსტრუაცია სხვადასხვა დაავადებების, ასაკისა თუ გარკვეული ფსიქოლოგიური პრობლემის გამო, ასევე ტრანსგენდერ ადამიანებს.<sup>1</sup>

მენსტრუალური ციკლი ქალისა და მამაკაცის იმდენად მკაფიო განმსახვავებელ ნიშანს წარმოადგენს, რომ ის დროთა განმავლობაში იქცა გენდერული თანასწორობის საკითხის ნაწილად, ვინაიდან მენსტრუალური ციკლის შესახებ წარმოდგენებმა განაპირობეს ქალის „ბუნებისადმი“ დამაკნინებელი დამოკიდებულების ჩამოყალიბება.<sup>2</sup> მენსტრუაციის პერიოდთან დაკავშირებით სტერეოტიპული დამოკიდებულება ხელს უწყობს სექსიზმისა და

<sup>1</sup> Society for Menstrual Cycle Research, *“The Menstrual Cycle: A Feminist Lifespan Perspective”*, გვ. 1. [https://www.socwomen.org/wp-content/uploads/2010/05/fact\\_4-2011-menstruation.pdf](https://www.socwomen.org/wp-content/uploads/2010/05/fact_4-2011-menstruation.pdf)

<sup>2</sup> L. Marvan, R. Vasquez-Toboada, J. C. Chrisler, Ambivalent sexism, attitudes towards menstruation and menstrual cycle-related symptoms, გვ. 2.

ქალების მიმართ უარყოფითი განწყობების ჩამოყალიბებას საზოგადოებაში. არსებული სექსისტური სტიგმა, რომელიც ქალის მენსტრუაციის პერიოდს ახლავს, ქალებს აკრავს ბინძურისა და უწმინდურის იარლიყს, რაც ხშირად არის მათთვის ხელისშემშლელი ფაქტორი, რომ სრულყოფილად სარგებლობდნენ ყველა იმ სერვისითა და მომსახურებით, რაც საზოგადოების არის ხელმისაწვდომი.

*ამბივალენტური სექსიზმის (Ambivalent Sexism) თეორია*, სექსიზმის ორ სახეს გამოჰყოფს: *მტრული სექსიზმი (Hostile Sexism)*, რომელიც ნეგატიურად ახასიათებს ქალებს და აყალიბებს მიზოგენიურ დამოკიდებულებას და *კეთილგანწყობილი სექსიზმი (Benevolent Sexism)*, რომლის გამოხატვის ფორმა პოზიტიურია, თუმცა ქალს სტერეოტიპულად აღიქვამს და შეზღუდულ როლებს უტოვებს. მოცემულ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ „ვაკის საცურაო აუზზე“ გამოკრული წარწერა ერთი შეხედვით უწყინარია და ადამიანს მხოლოდ ჰიგიენური ნორმების დაცვისკენ მოუწოდებს, რეალურად წარმოადგეს სექსიზმის ფორმას, რომელიც ქალის მენსტრუაციულ პერიოდს ხაზს უსვამს და გამოყოფს მათ სერვისით მოსარგებლე სხვა ადამიანებისგან.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, აკრძალულია ნებისმიერი ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს პირის იძულებას, წაქეზებას ან ხელშეწყობას მესამე პირის მიმართ დისკრიმინაციის განსახორციელებლად.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ „ვაკის საცურაო აუზზე“ გამოკრული წარწერა გენდერული სტერეოტიპების გამყარებას უწყობს ხელს, ვინაიდან მენსტრუაციული ციკლი არის უნიკალური მდგომარეობა, რომელიც მხოლოდ ქალებისთვის არის დამახასიათებელი და აღნიშნულზე ხაზგასმა სქესთან დაკავშირებული დისკრიმინაციული სტერეოტიპების გაძლიერებას უწყობს ხელს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მიმართავს შპს „გეოფიტნესს“ ზოგადი წინადადებით, რომ ჰიგიენური ნორმების დაცვის საჭიროების არსებობის შემთხვევაში, ნებისმიერი ამკრძალავი წარწერა ჩამოყალიბდეს გენდერულად ნეიტრალური ფორმით.

გთხოვთ, მაცნობოთ თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე.

პატივისცემით,